საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. მაისის 27. № 8 ცფილისი

შინაარსი

ფინანსები

83. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი უწყებებისა და დაწესებულებების სპეციალურ სახსართა დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი უწყებებისა და დაწესებულებების სპეციალურ სახსართა შესახებ.

ფინანსები

83. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი უწყებებისა და დაწესებულებების სპეციალურ სახსართა დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი უწყებებისა და დაწესებულებების სპეციალურ სახსართა შესახებ და აგრეთვე ამ უწყებებისა და დაწესებულებების სპეციალურ სახსართა ნუსხა.

2. მიენდოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს ერთი თვის ვადაზე ინსტრუქცია 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების შეფარდებისათვის.

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის აპრილის 27-ის დადგენილება „სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ

სახსართა შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 141) ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

4. იმ სპეციალურ სახსართა ყველა თანხა, რაც 1-ლ მუხლში აღნიშნულ ნუსხაში არ შედის, იხარჯება სათანადო უწყებისა და დაწესებულების მიერ, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით განსაზღვრული წესისამებრ.

5. მიენდოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—წარმოუდგინოს 1934 წლის აპრილის 1-თვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა მდგომარეობისა და ამ სახსართა შექმნის და გამოყენების მოწესრიგებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. თებერვლის 22.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი უწყებებისა და დაწესებულებების სპეციალურ სახსართა შესახებ.

1. სპეციალურ სახსრად ითვლება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი უწყებისა და დაწესებულების სახსარი, რაც ჩამოთვლილია ამა დებულებასთან დართულ ნუსხაში, ან რაც აღნიშნულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ დადგენილებაში.

ეს სახსარი იხარჯება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილში გაუტარებლად.

2. სპეციალური სახსრის გარდა, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ უწყებას და დაწესებულებას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ბიუჯეტგარეშე სახსარი:

ა) სოციალური დაზღვევის სახსარი;

ბ) დეპოზიტი;

გ) თანხები მინდობილობათა მიხედვით;

დ) დაპრემიების და გამომგონებლობის ფონდში გადაცემული სამეურნეო ორგანოების სახსარი და აგრეთვე ტექნიკური პროპაგანდისა და კადრების მომზადების ხაზით ცენტრალიზებული წესისამებრ განსახორციელებელ ღონისძიებათათვის გადადებული ანარიცხები, რაც იხარჯება კანონით დადგენილი წესით;

ე) მოსწავლეთა მშობლების სახსარი, რაც შემოდის თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 21-ის დადგენილებისა

„I და II საფეხურის სკოლების საჭიროებისათვის სახსრის შეკრეფისა და შემოსული სული სახსრის ხარჯვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-16 №-ი, მუხ. 223).

უწყებებისა და დაწესებულებების მიერ სხვა რამ ბიუჯეტ-გარეშე სახსართა შექმნა კატეგორიულად აკრძალულია.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ეკისრება მეთვალყურეობა და კონტროლი გაუწიოს თვითეულ უწყებასა და დაწესებულებაში სპეციალური სახსრის შექმნას და გამოყენებას.

4 საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით წლიური ხარჯთაღრიცხვების წარდგენასთან ერთად უწყებანი და დაწესებულებანი წარადგენენ ყველა მათ ხელთ ქონებული სპეციალური სახსრის საშემოსავლო და საგასავლო ხარჯთაღრიცხვას (მუხ. 5 და 6).

საშემოსავლო ხარჯთაღრიცხვა შედგენილ უნდა იქნეს ყველა მოსალოდნელი შემოსავლის ანგარიშში მიღებით, ხოლო საგასავლო ხარჯთაღრიცხვა— სამუშაოთა გეგმის შესაბამისად.

ხარჯთაღრიცხვების ფორმებს აწესებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

5. უწყების ან ცენტრალურ დაწესებულების მიერ უშუალოდ დაადმინისტრირებულ სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვების პროექტები წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

6. უწყებისა და ცენტრალური დაწესებულების ქვემდებარე დაწესებულებების განკარგულებაში ქონებულ სპეციალურ სახსართა ჯუმლობითს ხარჯთაღრიცხვებს შეადგენს უწყება და ცენტრალური დაწესებულება და წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ სპეციალურ სახსართა ჯუმლობითი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ უწყება და ცენტრალური დაწესებულება დაამტკიცებს, ამ ჯუმლობითი ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, თვითეული თავისი ქვემდებარე დაწესებულების ხარჯთაღრიცხვას და გაანაწილებს მასში შემოსავალს—სახეებისა და გასავალს—მუხლების მიხედვით.

7. სპეციალური სახსარი ინახება საპროცენტო მიმდინარე ანგარიშზე იმ საკრედიტო დაწესებულებაში, რომელსაც დაკისრებული აქვს ამ დაწესებულების ხარჯთაღრიცხვის საკასო აღსრულება.

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისირიატს უფლება აქვს, დაინტერესებულ უწყებასთან შეთანხმებით, ნება დართოს, რათა სპეციალური სახსარი ინახებოდეს სახელმწიფო შრომითს შემნახველ სალაროში.

8. სპეციალურ სახსართა შემოსავალ-გასავლის აღსარიცხავად, როგორც საერთო წესი, თვითეულ დაწესებულებას გაეხსნება ერთი მიმდინარე ანგარიში ყველა სახის სპეციალური სახსრისთვის. სპეციალურ სახსართა ცალკეული სახისათვის განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიშის გახსნა შეიძლება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებართვით.

9. სპეციალურ სახსარს საკრედიტო დაწესებულება გასცემს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც სპეციალური სახსრის განმკარგულებელი წარადგენს სათანადო ცნობას, რომ სპეციალური სახსრის ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულია.

ცნობას უწყებისა და ცენტრალური დაწესებულების მიერ უშუალოდ დასაადმინისტრირებელ სპეციალურ სახსართა შესახებ იძლევა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ხოლო ცნობას სახალხო კომისარიატისა და ცენტრალური დაწესებულების ქვემდებარე დაწესებულების გამგებლობაში ქონებულ სპეციალურ სახსარა შესახებ იძლევა ეს სახალხო კომისარიატი და ცენტრალური დაწესებულება.

უკეთუ ცნობა ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ არ არის, საკრედიტო დაწესებულება სპობს სახსრის გაცემას; ამასთანავე, იგი მხოლოდ მიიღებს და ჩარიცხავს შემოსულ სახსარს.

10. სპეციალურ სახსარს უწყება და დაწესებულება ხარჯავს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში და მხოლოდ ამ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ საჭიროებაზე.

11. უწყებისა და ცენტრალური დაწესებულების მიერ უშუალოდ დასაადმინისტრირებელი სპეციალური სახსრის ხარჯთაღრიცხვის შეცვლა შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით. ხოლო მათი ქვემდებარე დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვების შეცვლა შეიძლება სათანადო უწყებისა და ცენტრალური დაწესებულების ნებართვით, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ჯუმლობითი ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

12. სპეციალური სახსრის ნაშთი, რაც საბიუჯეტო წლის ბოლოს დარჩება, გადაიტანება მომავალი წლის სპეციალურ სახსრის ხარჯთაღრიცხვის საშემოსავლო ნაწილში, უკეთუ სხვამხრივ მისი მიქცევა გათვალისწინებული არ არის ამ სპეციალური სახსრის შესახები დადგენილებით.

13. სპეციალური სახსრის მქონე დაწესებულება მოვალეა აწარმოოს სპეციალური სახსრის აღრიცხვა როგორც შემოსავლის, ისე გასავლის მიხედვით და აგრეთვე შეადგინოს და წარადგინოს ამ სახსრის პერიოდული ანგარიშგება იმ ფორმებით და იმ ვადებზე, რაც დაწესებულია ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების ინსტრუქციებით.

წლიური ანგარიში წარიდგინება სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვების აღსრულების ანგარიშთან ერთად.

14. სპეციალურ სახსართა საშემოსავლო და საგასავლო ხარჯთაღრიცხვების მოქმედება ისპობა საბიუჯეტო წლის უკანასკნელ სამუშაო დღეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუსხა

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი საქართველოს სსრ უწყებებისა და დაწესებულებების სპეციალურ სახსართა.

ა. ცენტრალური აპარატის ხაზით.

(საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების ხაზით)

1. საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატისა და ცენტრალური დაწესებულებისათვის საერთო სპეციალური სახსარი.

1. ცენტრალური დაწესებულებების კუთვნილი სახლების საიჯარო და საბინაო ქირა და სხვა შემოსავალი; აგრეთვე ქვემოიჯარეთაგან ცენტრალიზებული მომსახურეობისათვის (ტანისამოსის საკიდელი, ტელეფონი და სხვ.) მიღებული შემოსავალი.	იხარჯება შენობის შენახვასა და რემონტზე და აგრეთვე ცენტრალიზებული მომსახურეობის ხარჯების დაფარვაზე.
2. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრით და სპეციალური სახსრით შეძენილი უვარგისი და არასაჭირო ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალი.	იხარჯება მარტოოდენ ინვენტარისა და გაწყობილობის შეძენაზე.
3. მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვისა და ექსპერტიზისათვის მიღებული სასყიდელი.	გამოიყენება პროექტების და ხარჯთაღრიცხვების განხილვასა და ექსპერტიზასთან დაკავშირებულ ხარჯებზე.
4. საუწყებო არბიტრაჟში საქმეების განხილვის სასყიდელი.	იხარჯება საუწყებო არბიტრაჟის მომუშავეთა შენახვაზე. დამთავრებული საქმეების სასყიდლის ნაშთი გადაიცემა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში.
5. მაკულატურის გაყიდვით მიღებული შემოსავალი.	გამოიყენება განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვის შეუდგენლად საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯებზე (მუხ. 2), სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული ასიგნების დამატებად; ამ შემოსავლის 15%-მდე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომუშავეთა დასაჯილდოებლად მაკულატურის აღმოჩენისათვის.
6. ტრანსპორტის ექსპლოატაციით მიღებული შემოსავალი.	იხარჯება მარტოოდენ ტრანსპორტის შენახვასა, რემონტსა და შევსებაზე.

7. საწარმოთა სახსარი სტანდარტების გამოსაცემად.	გამოიყენება სტანდარტების დამუშავებასა და გამოცემაზე.

II. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სპეციალური სახსარი.

ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსარი ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათათვის.	იხარჯება სამეცნიერო სახანძრო ტექნიკური კომიტეტისა და მისი ცენტრალური სახანძრო სადგურის შენახვაზე.

III. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სპეციალური სახსარი.

წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სამეურნეო ორგანოების მიერ გადაცემული სახსარი წყლის ტრანსპორტზე სამკურნალო მომსახურეობის გაწევისათვის.	გამოიყენება წყლის ტრანსპორტზე არსებულ ჯანმრთელობის განყოფილებათა საოპერაციო ხარჯებზე.

IV. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სპეციალური სახსარი.

1. ზურგის ლაშქარში ჩარიცხულთა სპეციალური სამხედრო გადასახადის შემოსავალი და იმ თანხების ანარიცხი, რასაც იხდიან საწარმონი და დაწესებულებანი ზურგის მოლაშქრეთა მიერ მათთვის შესრულებული საერთო სასარგებლო სამუშაოებისათვის.	გამოიყენება სოციალური უზრუნ. ველყოფის სახალხო კომისარიატის საოპერაციო ხარჯებზე ომის ინვალიდთა და წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფის საქმის გაუმჯობესებისათვის.
2. სრულიად საქართველოს ინვალიდთა დამხმარე საზოგადოებისა, სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული კავშირის და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის და სამეურნეო ორგანოების სისტემაში შემავალი სხვა ორგანიზაციების მიერ გადაცემული სახსარი.	გამოიყენება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საოპერაციო ხარჯებზე ინვალიდთა მდგომარეობის საქმის გაუმჯობესებისათვის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ხაზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. საქართველოს სსრ უწყებათა და ცენტრალურ დაწესებულებათა ქვეშ ბარე სახელმწიფო-საბიუჯეტო დაწესებულებების ხაზით.

I. ყველა დაწესებულებისათვის საერთო სპეციალური სახსარი.

1. დაწესებულებების კუთვნილი სასამსახურო შენობებისა, საერთო საცხოვრებლებისა და სახლების (დამხმარე საწარმოებით სასადილოები, სამრეწველოები და სხვ.) საიჯარო და საბინაო ქირა და სხვა შემოსავალი.	იხარჯება მარტოოდენ ამ შენობებისა, სახლებისა და საერთო საცხოვრებლების შენახვასა, რემონტსა და გაწყობაზე.
2. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრით და სპეციალური სახსრით შეძენილი უვარგისი და არასაჭირო ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალი.	იხარჯება ინვენტარისა და გაწყობილობის შეძენასა და რემონტზე.
3. ტრანსპორტის ექსპლოატაციით მიღებული შემოსავალი.	იხარჯება მარტოოდენ ტრანსპორტის შენახვასა, რემონტსა და შევსებაზე.
4. მაკულატურის გაყიდვით მიღებული შემოსავალი.	გამოიყინება განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვის შეუდგენლად საადმინისტრაციო - სამეურნეო ხარჯებზე (მუხ. 2), სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული ასიგნების დამატებად; ამ თანხების 15%-მდე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომუშავეთა დასაპრემიებლად მაკულატურის აღმოჩენისათვის. საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოში აღნიშნული სახსარი იხარჯება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გაწყობილობასა და საოპერაციო ხარჯებზე.
5. სასყიდელი ლაბორატორიებისა და კაბინეტების გამოყენებისათვის.	იხარჯება მარტოოდენ ლაბორატორიების შენახვასა და შევსებაზე.
6. მუზეუმებში შესვლის სასყიდელი.	ამ სახის სპეციალურ სახსართა შექმნა და ხარჯვა რეგლამენტირდება სათანადო სახალხო კომისარიატისა და ცენტრალური დაწესებულების მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული წესებით.

7. გამოფენასა და ლექციაზე შესვლის სასყიდელი და სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო გამოცემათა შემოსავალი.	ამ სახის სპეციალურ სახსართა შექმნა და ხარჯვა რეგლამენტირდება სათანადო სახალხო კომისარიატისა და ცენტრალური დაწესებულების მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული წესებით.
8. სამეცნიერო და სამხატვრო ნაწარმოებთა რეპროდუქციებისა და აგრეთვე საარქივო დოკუმენტების ასლების გაყიდვით მიღებული შემოსავალი.	გამოიყენება ძირითადად ნაწარმოებთა რეპროდუქციასთან დაკავშირებულ ხარჯებზე და აგრეთვე მუზეუმების შენახვასა და შევსებაზე.
9. სასყიდელი დაუსწრებელი სწავლებისათვის.	გამოიყენება სასწავლო ხარჯებზე.
10. სასწავლო-დამხმარე და დამხმარე საწარმოთა (სახელოსნო, ბოსტანი, ბაღი და სხვ.) საწარმოო საქმიანობის შემოსავალი.	იხარჯება სახალხო კომისარიატებისა და ცეტრალური დაწესებულებების მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული წესების მიხედვით.
11. სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების სახსარი, რაც შემოვა ხელშეკრულების თანახმად შესრულებული სპეციალური სამუშაოებისათვის (სამეცნიერო-საკვლევო, კადრების მომზადება და სხვა მისთ.).	იხარჯება სპეციალური ხელშეკრულებების შესრულებასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე.
12. სამეცნიერო-საჩვენებელი და სამკურნალო დაწესებულებების მიერ სამკურნალო დახმარებისა და სხვადასხვა მომსახურეობის გაწევისათვის სასყიდლის სახით მიღებული შემოსავალი და საცდელ ცხოველთა უტილიზაციით მიღებული შემოსავალი.	იხარჯება სამეცნიერო-საჩვენებელი და სამკურნალო დაწესებულებების შენახვაზე.
13. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სასწავლებლებში, ტექნიკუმებში და კურსებზე სწავლებისათვის მიღებული სწავლის ფული.	იხარჯება სასწავლებლების შენახვასა და სასწავლო ხარჯებზე.
14. მოსწავლეთა მშობლების მიერ გადახდილი სასყიდელი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლა-გარეშე აღზრდის დაწესებულებებში მათი ბავშვების აღზრდისათვის.	იხარჯება ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. განათლების სახალხო კომისარიატის ქვემდებარე დაწესებულებათა სპეციალური სახსარი.

1. ანტიქვარიეტის მეშვეობით რეალიზებული სახელმწიფო ფონდების შემოსავლის ანარიცხი 25%-ის რაოდენობით.	იხარჯება მარტოოდენ ისტორიული ძეგლების დაცვაზე და სამუზეუმო საქმისა და ისტორიული ძეგლების დაცვის საქმის კაპიტალდაბანდებაზე.
2. სამუზეუმო დაწესებულებათა ხაზით არასამუზეუმო მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო ფონდების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის 60%.	იხარჯება მარტოოდენ ისტორიული ძეგლების დაცვაზე და სამუზეუმო საქმისა და ისტორიული ძეგლების დაცვის საქმისა კაპიტალდაბანდებაზე.

III. ცენტრალური საარქივო სამმართველოს და სახელმწიფო წიგნის პალატის ქვემდებარე დაწესებულებათა სპეციალური სახსარი.

საკუთარ გამოცემათა რეალიზაციით მიღებული შემოსავალი.	გამოიყენება გამოცემის ხარჯების დაფარვაზე.

IV. მუშათა და გლეხთა მილიციის ადგილობრივი ორგანოების სპეციალური სახსარი.

საუწყებო მილიციის შესანახად სამეურნეო ორგანოებისაგან მიღებული სახსარი.	იხარჯება საუწყებო მილიციის შენახვაზე.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 15. პ/მ რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 5/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას 11/IV ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/V; ტირაჟი 1.800.

მთავლიტი ს.—№ 28. საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 689.